კვლევის თემატიკა

საჯარო მმართველობის სფეროსათვის შესაბამისი საკვლევი თემები, მათ შორის სექტორული, კროსსექტორული და ინტერდისციპლინური გაანალიზების დონეზე, რომლის ხელმძღვანელობის კომპეტენცია პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს გააჩნია, განისაზღვრება შემდეგი ჩამონათვალით:

1. საჯარო ადმინისტრირების რეფორმის მოდელები და რეფორმის განხორციელებისა და შეფასების შედარებითი პრაქტიკები ტრადიციული მენეჯმენტის, ახალი საჯარო მმართველობის, ნეო-ვებერიანული და ახალი საჯარო მმართველობის ლოგიკით.

2. საჯარო ადმინისტრირების ნაციონალური და ადგილობრივი განზომილება იურიდიული, პოლიტიკური და მმართველობითი რაკურსით.

3. საჯარო ადმინისტრირების პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობა და შესაბამისი ინსტრუმენტები.

4. საჯარო მომსახურეობის სპეციფიკა და სტანდარტები: ელექტრონული და სერვის+ სტანდარტების დანერგვის გამოწვევები.

5. საჯარო სექტორის ეკონომიკა და ბიუჯეტირება, მისი მართის მექანიზმები და გამოწვევები.

6. საჯარო მოხელეთა რეკრუტირება და შეფასება, შეფასების მოდელები და დანერგვის სპეციფიკა შედარებითი საჯარო მმართველობის რაკურსიდან.

7. საჯარო სამოხელო სისტემის ნეიტრალიტეტი და დამოუკიდებლობა.

4

8. მერიტოკრატიული პრინციპების დაცვა საჯარო მმართველობაში და მისი მართვის მექანიზმები.

9. მტკიცებულებებზე დაყრდნობით წარმოებული პოლიტიკის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება.

10. შედეგზე ორიენტირებული მართვის მოდელები და მათი შედარებითი პრაქტიკები.

11. ლიდერობა საჯარო მმართველობაში და მისი ეფექტურობის მექანიზმები.

12. ორგანიზაციული კულტურის ანალიზის მოდელები.

13. ორგანიზაციული ცვლილებების მართვა და გამოწვევები.

14. მოტივაციის კვლევა საჯარო ორგანიზაციებში.

15. ორგანიზაციული სწავლება და მისი მართვის მექანიზმები.

16. ჯგუფის/გუნდის მართვა და მისი ანალიზის მოდელები საჯარო მმართველობაში.

17. საჯარო ორგანიზაციების სისტემური ანალიზის პერსპექტივები.

18. კერძო-საჯარო პარტნიორობის მოდელები და მისი გამოწვევები გარე კონტრაქტორებთან ურთიერთობის პროცესში.

19. დელიბერაციული მართვის მექანიზმები და გარე აქტორების ჩართულობის პერსპექტივები ქსელური მმართველობის განსახორციელებლად.

20. ღია მმართველობის პრინციპები და მათი დანერგვის პროცესში არსებული გამოწვევები.

21. ელექტრონული მართვის მოდელები: საუკეთესო პრაქტიკები და არსებული გამოწვევები.

22. მრავალდონიანი მმართველობის მოდელები (სუპრა-ნაციონალურ, ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე) და არსებული პრაქტიკების შედარებითი ანალიზი.

23. შედარებითი საჯარო მმართველობა (ანგლო-საქსონური, ევროპული და აზიური გამოცდილებები).

24. საჯარო პოლიტიკის წარმოების სპეციფიკა და არსებული გამოწვევები პოსტ-საბჭოური და აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილებით.

25. საჯარო პოლიტიკის ანალიზის განხორციელების სპეციფიკა და არსებული გამოწვევები ტრანსფორმირებად საზოგადოებაში.

26. მართვის ინსტრუმენტები და სტანდარტები და მათი დანერგვის პრობლემები სექტორალური პერსპექტივებით.

27. საჯარო პოლიტიკის აუნაზღურებელი დანახარჯები და გამოწვევები.

28. პოლიტიკის კოორდინაციის პრობლემები საჯარო მმართველობაში: ჰორიზონტალური და ვერტიკალური.

29. საჯარო ორგანიზაციათა გამჭვირვალეობა და ანგარიშვალდებულება.

30. პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენა საჯარო სექტორის რეფორმირების შესაძლებლობებზე.